ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 3235/01
28/03/2019

3235-01-2-201903281651

**შპს „ოპტიკალ სისტემს ინკის"**

**მის: თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ.N72,**
**კოპრ. 10, სადარბაზო I, ბინა N2**

თქვენს მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე წლის 25 თებერვალს წარმოდგენილ მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იელის მიმდებარედ ქვიშრობული ოქროს მომპოვებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 7 თებერვალს სამინისტროს #1268/01 წერილით გეცნობათ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული ხარვეზების თაობაზე და დაგევალათ 1 თვის ვადაში დაზუსტებული სკოპინგის ანგარიშის  წარმოდგენა შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით.

გაცნობებთ, რომ განმეორებით წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში კვლავ არ მოიცავს სკოპინგის დასკვნის მისაღებად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად საკმარის ინფორმაციას. ამასთან, სკოპინგის ანგარიშით წარმოდგენილი და სატიტულო გვერდზე მითითებული საქმიანობის სახე არ შეესაბამება სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილ და სამინისტროს მიერ მიღებულ სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ამასთან, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოო ტერიტორიიდან 150-200 მეტრის დაშორებით მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სარეაბილიტაციო სვანური კოშკები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელების თაობაზე.

სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ჩამდინარე წყლის გაწმენდის მიზნით დაგეგმილი სალექრების შესახებ. კერძოდ, პარამეტრები, წარმადობა, გაწმენდის ეფექტურობა, არ არის წარმოდგენილი დაგეგმილი საქმიანობის (ტექნოლოგიის) ალტერნატივები და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაცია.

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ სკოპინგის ანგარიშში მითითებული ტერიტორია, სადაც დაგეგმილია გადამამუშავებელი საწარმოს განთავსება, მოქცეულია მდინარე ენგურის წყალდაცვით ზოლში, რომელიც მდინარე ენგურისთვის არსებული კანონმდებლობით შეადგენს 50 მეტრს და აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს.

„წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში აკრძალულია მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სხვა ალტერნატიული ტერიტორიის შერჩევა. გარდა ამისა გასათვალისწინებელია, რომ დაგეგმილი საწარმო ძალზე მცირე მანძილითაა დაცილებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო ქვიშრობული ოქროს მომპოვებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს მას შემდეგ, რაც წერილში მოთხოვნილი ყველა შენიშვნის გათვალისწინებით იქნება წარმოდგენილი დაზუსტებული სკოპინგის ანგარიში.

იური ნოზაძე

მინისტრის მოადგილე